გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა ელექტრონული რეგისტრაციისა და განცხადების შევსების ინსტრუქცია

განცხადებები მიიღება მხოლოდ ონლაინ რეჟიმში (http://socreg.mes.gov.ge/)

ყურადღება!!! 2025-2026 სასწავლო წლის სწავლის საფასურით დაფინანსებისთვის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაცია უნდა გაიაროს და განცხადება წარადგინოს როგორც იმ სტუდენტებმა, რომლებიც პირველად ერთვებიან აღნიშნულ პროგრამაში, ასევე სტუდენტებმა რომლებიც წინა წლებშიც ფინანსდებოდნენ ამ პროგრამის ფარგლებში ან სარგებლობენ სახელმწიფო დაფინანასებით (სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტით, მათ შორის სოციალური პროგრამის ფარგლებში) და სწავლობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის სიხლოვეს არსებულ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

ელექტრონული რეგისტრაციის გვერდზე შესასვლელად ბრაუზერში აკრიფეთ მისამართი: (http://socreg.mes.gov.ge/) ან ისარგებლეთ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ბანერით https://mes.gov.ge/content.php?id=13192&lang=geo

1. პორტალზე რეგისტრაცია

1.1. დააჭირეთ ღილაკს: „რეგისტრაცია“

1.2. შეავსეთ ყველა სავალდებულო ველი, გაეცანით პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობებს და დაეთანხმეთ რომ ინფორმირებული ხართ პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.



1.3. პორტალზე რეგისტრაციის დასრულებისთვის, უნდა დადასტურდეს ტელეფონის ნომრის სიზუსტე. შესაბამისად, თქვენ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებთ უნიკალურ კოდს, რომელიც უნდა შეიყვანოთ პორტალზე.



განმცხადებლის მიერ რეგისტრაციის დროს მითითებული საკონტაქტო ტელეფონის ნომრის შეცვლის შემთხვევაში, განმცხადებელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ, წერილობით მიაწოდოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

1.4. პ ო რ ტ ა ლ ზ ე რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას

„tqven warmatebiT gaiareT registracia, gtxovT gadaxvidet gancxadebis shevsebaze“

რეგისტრაციის გავლა არ ნიშნავს განცხადების წარდგენას, რეგისტრაციის გავლის შემდეგ, გადადით განცხადების შევსებაზე.

2.განცხადების შევსება

ელექტრონულ განცხადებას ავსებენ სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

2.1. დააჭირეთ ღილაკს „შესვლა“ ;

2.2. თქვენი პირადი ნომრითა და პაროლით შედით სისტემაში;

განმცხადებელი რომლის პირადი ნომერი არ ფიქსირდება ბაზაში განცხადებით მიმართავს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.



2.3. დაადასტურეთ, რომ გაეცანით ინფორმაციას პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ



გაცნობებთ, რომ პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე თანხმობის გარეშე, ვერ შეძლებთ განცხადების წარდგენას

გვერდზე შესვლის შემდგომ გაჩნდება ფანჯარა



2.3 აირჩით მუნიციპალიტეტი და ჩაწერეთ სოფელი სადაც ცხოვრობთ;
2.4 თუ სწავლობთ რამდენიმე უნივერსიტეტში, მონიშნეთ უნივერსიტეტი, სადაც გსურთ სწავლის საფასურით დაფინანსება და გაქვთ აქტიური სტატუსი ;



2.5 დააჭირეთ ღილაკს: „გაგზავნა“, რის შემდეგაც მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას - „განცხადება წარდგენილია“.



3. განცხადების რედაქტირება/შესწორება

3.1 განცხადების რედაქტირება/შესწორება შესაძლებელია განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე, დააჭირეთ ღილაკს - „შესწორება“.

ყურადღება

შემოდგომის სემესტრის დაფინანსებისთვის, სტუდენტს 2025 წლის პირველი ნოემბრის (ბაკალავრი) ან 15 ნოემბრის (მაგისტრი) მდგომარეობით, უნდა ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი;
გაზაფხულის სემესტრის დაფინანსებისთვის, სტუდენტს 2026 წლის 1 აპრილის მდგომარეობით (ბაკალავრი/მაგისტრი) უნდა ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი;

4. პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოპოვების ან ვერმოპოვების შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება რეგისტრაციისას მითითებულ ტელეფონის ნომრებზე:

ა) თქვენ განცხადება დაკმაყოფილდა

ბ) თქვენ განცხადება არ დაკმაყოფილდა

გისურვებთ წარმატებას